№2 შემაჯამებელი დავალების ანალიზი

კლასი: VII ა
საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
პედაგოგი: მარიამ გურგენიძე
შემაჯამებელი დავალების ჩატარების თარიღი: 5/12/2018
შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების ფორმა: ესსე

შემაჯამებელი დავალების პირობა და ესგ-ს შედეგები

N	**შემაჯამებელი დავალების საკითხი**	**შემაჯამებელი დავალების პირობა**	**საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება**
1	ხელოვნება კაცობრიობის სიმბოლური მეხსიერება ხელოვნება კაცობრიობის სიმბოლური მეხსიერება	ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულებების ცოდნა,ფაქტობრივი მასალის ფლობა. ხელოვნების ნიმუშის ანალიზი და მისი დაკავშირება ისტორიულ-კულტურულ კონტექსტთან.	**ს.გ. VII** 11 მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშები. ს.გ. VII . 12 მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი ისტორიასთან და კულტურასთან.

შემაჯამებელი დავალების კრიტერიუმები

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ კონკრეტული სახვითი ხელოვნების ნიმუშების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის, ისტორიული წარსულის,

მნიშვნელოვანი ფაქტების, შესახებ ცოდნის დემონსტრირება.

შესაბამისი დასკვნების გამოტანა: გამოსახულებებით და ნიშნებით მოთხრობილი ისტორიული ფაქტების ანალიზი ხელოვნების ნიმუშის დაკვირვების მაგალითზე.

ესსეს შეფასების რუბრიკა

ქულები	კრიტერიუმები
1 /2 ქულა	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.
3 / 4 ქულა	ესსეს სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, დარღვეულია ტექსტის ლოგიკა.
5 ქულა	ნაშრომში არ ჩანს განსახილველ საკითხთან შინაარსობრივი კავშირი, არ ჩანს სათანადო ინფორმირებულობა.
6 ქულა	მსჯელობა არადამაჯერებლადაა დასაბუთებული, არგუმენტები არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით.
7 ქულა	მსჯელობა ნაწილობრივ ლოგიკური და თანმიმდევრულია, თუმცა არადამაჯერებელი.

8 / 9 ქულა	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია, არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.
10 ქულა	მსჯელობა დასაბუთებულია დამაჯერებლად და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით, ნაშრომში მკაფიოდ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი

მიღებული შედეგების ანალიზი საკითხი შედგენილია პროგრამის მიხედვით და გათვლილია ე.ს.გ –ს მიზნებსა და შედეგებზე. დავალება მოიცავდა როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე კონკრეტული ხელოვნების ნიმუშის დაკავშირებას ისტორიულ კონტექსთან ხელოვნების ნიმუშის ანალიზს, მის შესახებ მსჯელობას. მოსწავლეთა პასუხებმა აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრება, თუმცა გამოიკვეთა პრობლემა დასკვნების გამოტანისა და არგუმენტირებული მსჯელობის მიმართულებით .
დასკვნა მოსწავლეებმა წარმატებით შეძლეს ფაქტობრივი მასალის ცოდნიე დემონსტრირება, თუმცა გარკვეულ ნაწილს გაუჭირდა დასკვნების გამოტანა, საკითხის მთლიანობაში გააზრება, არგუმენტირებული მსჯელობა, შესასწავლი საკითხის გააზრება და მნიშვნელობის შეფასება.
რეკომენდაცია *– რა არის გასაუმჯობესებელი?* *– გაუმჯობესების გზები.* სასურველია სხვადასხვა სტრატეგიების და მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ გონებრივ–ინტელექტუალურ შესაძლებლობების გამოვლენას. სასურველია შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ყურადღება გავამახვილოთ საკლასო მუშაობისას არგუმენტირებულ მსჯელობასა და ლოგიკურ დასკვნებზე. საკლასო აქტივობები იმგვარად დავგეგმოთ, რომ მოსწავლეებს თითოეული საკთხის შესწავლის მიზნის, მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობა მიეცეთ, რაც მათ მომავალში დაეხმარება არგუმენტირებული და ლოგიკური მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებაში.

პედაგოგის ხელმოწერა: მარიამ გურგენიძე